ევროკავშირი საქართველოსთვის

საშუალო და მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში შემოსული კითხვები და პასუხები



ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი (IRC) და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი (SGRC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

The Hague Academy for local governance

IRC Innovations and reforms Center

SGRC

თანამონაწილეობის თანხის დაანგარიშება ხდება მოთხოვნილი თანხიდან თუ ბიზნეს პროექტის მთლიანი ბიუჯეტიდან?

თანამონაწილეობის თანხა დაანგარიშდება გრანტის სახით მოთხოვნილი თანხიდან. მაგალითად, მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსში გრანტის სახით მოსათხოვნი თანხის ქვედა ზღვარი შეადგენს 30,000 ევროს და ზედა ზღვარი - 40,000 ევროს. შესაბამისად, თუ მოთხოვნილი იქნება 30,000 ევრო, დამატებით მინიმუმ 6,000 ევრო (30,000 ევროს 20%) უნდა შეადგენდეს თანადაფინანსებას; შესაბამისად, ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი 36,000 ევროსთვის, სადაც 30,000 ევრო გრანტის თანხაა, ხოლო 6,000 ევრო თანადაფინანსება.

განთავისუფლებული არის თუ არა საგრანტო თანხა დღგ-სგან?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაცემული გრანტი არ არის განთავისუფლებული დღგ-სგან; შესაბამისად, პროექტის ბიუჯეტი დაანგარიშებული უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით.

მსურს დანადგარის საზღვარგარეთიდან შეძენა, და ხარჯთაღრიცხვისთვის რამდენად მისაღებია მომწოდებელთან მიმოწერის წარმოდგენა?

მისაღებია, თუ მოცემულია შესასყიდი პროდუქტის ძირითადი მახასიათებლები და ფასი. შესაბამისად, თუ მომწოდებელთან მიმოწერა შეიცავს ამ ინფორმაციას, შესაძლებელია მისი წარმოდგენა.

აუცილებლობას წარმოადგენს თუ არა, რომ ფიზიკური პირი ვინც მონაწილეობას მიიღებს საგრანტო კონკურსში, იყოს რეგისტრირებული რაჭაში?

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში ფიზიკური პირის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო პირობა. თუმცა, განმცხადებელს მოეთხოვება დადასტურებული მჭიდრო კავშირი ჰქონდეს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარესთან, რაც განმცხადებლემა უნდა აღწეროს განაცხადის შესაბამის ველში.

შესაძლებელია თუ არა პროექტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ძირითადი საშუალებების შექმნასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები?

მომსახურება, რომელიც საჭიროა ძირითადი საშუალების შესაქმნელად, შეიძლება გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტით.

თუ თანამონაწილეობის თანხა იქნება მეტი ვიდრო კონკურსის პირობებითაა განსაზღვრული, თუ მექნება რაიმე უპირატესობა კონკურსში მონაწილეობისას?

თანამონაწილეობა შეიძლება იყოს პროექტისგან მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 20% და არაუმეტეს 100%-სა. მოცემული პირობის გათვალისწინებით, თანამონაწილეობის თანხის ოდენობა არ იძლევა რაიმე უპირატესობას განაცხადების შეფასებისას.

სულ რამდენი პროექტი/ინიციატივა დაფინანსდება გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში?

მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში მოაზრებულია 5-7 პროექტის დაფინანსება, ხოლო საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში 15-30 პროექტის.

რა იგულისხმება ინოვაციურ პროექტებში?

ინოვაციურად მიიჩნევა ისეთი პროექტი, რომელიც წარმოადგენს სიახლეს სოფლისთვის/თემისთვის/მუნიციპალიტეტისთვის/რეგიონისთვის ან ქვეყნისთვის და იმავდროულად აქვს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში განვითარების პერსპექტივა.

ნებადართულია თუ არა სპეციფიური პროდუქტის (დანადგარის) შეძენა ფიზიკური პირისგან ან საზღვარგარეთიდან?

დიახ, ნებადართულია ორივე შემთხვევაში, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ შესყიდვასთან დაკავშირებით წარმოსადგენი იქნება შესაბამისი დოკუმენტაცია.

არსებული (მოქმედი) ბიზნესის გაფართოვების შემთხვევაში, საგრანტო კონკურსის პირობებით წარმოსადგენი წლიური ბრუნვა გულისხმობს ერთი წლის თუ ორი წლის საშუალო ჯამურ ბრუნვას?

იურიდიული პირის შემთხვევაში წლიურ ბრუნვასთან დაკავშირებული შეზღუდვა გულისხმობს წლიურ ბრუნვას და პირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული უკანასკნელი 2 წლისთვის, ანუ კონკურსში მონაწილებისთვის 2022 და 2023 წლების (ცალ-ცალკე) საშუალო წლიური ბრუნვა არ უნდა სცდებოდეს პირობებით დადგენილ ზღვარს.

შეუძლია თუ არა ფიზიკურ პირს წარადგინოს დამწყები ბიზნეს-პროექტის განაცხადის ფორმა?

დიახ, დამწყები ბიზნესის განაცხადის წარდგენა შეუძლია როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირს.

რა უნდა იყოს წლიური საშუალო ბრუნვის ზედა ზღვარი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

საშუალო წლიურ ბრუნვასთან დაკავშირებული მოთხოვნა/შეზღუდვა ეხებათ მხოლოდ კონკურსში მონაწილე სამეწარმეო იურიდიულ პირებს. საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამეწარმეო იურიდიულ პირებს, რომელთა წლიური საშუალო ბრუნვა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე (ცალ-ცალკე თითოეული წლისთვის) არ აღემატება 150,000 ლარს, ხოლო მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსის შემთხვევაში - წლიური საშუალო ბრუნვა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არ აღემატება 300,000 ლარს.

რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიული პირს, რომელსაც საქმიანობა ჯერ არ დაუწყია (წლიური ბრუნვა არ აქვს), შეუძლია თუ არა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება?

დიახ, მონაწილეობა საგრანტო კონკურსში შეუძლია ისეთ იურიდიულ პირსაც, რომელსაც ჯერ საქმიანობა არ დაუწყია და წლიური ბრუნვა არ აქვს.

შეიძლება თუ არა, პროექტის ფარგლებში მიღებული საგრანტო თანხით მიწის შეძენა, მასზე ბიზნეს საქმიანობის განხორციელების მიზნით?

საგრანტო კონკურსის პირობების მიხედვით, დაუშვებელია უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შეძენა როგორც გრანტის, ასევე განმცხადებლის თანამონაწილეობის თანხით.

თანამონაწილეობის თანხა შეიძლება მოიცავდეს მშენებლობის ხარჯებს?

ნებისმიერი მშენებლობა, თუ ის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტის ნაწილია, დასაშვებია საგრანტო კონკურსის პირობებით და მისი დაფინანსება შეიძლება როგორც თანამონაწილეობის თანხიდან, ასევე გრანტის სახით მიღებული თანხიდან.

შესაძლებელია თუ არა საგრანტო თანხით საოჯახო სასტუმროს მოწყობა?

ტურიზმი წარმოადგენს საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორს. შესაბამისად, შესაძლებელია საოჯახო ტიპის სასტუმროს მოწყობის დაფინანსება, თუ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტი მთლიანობაში გადალახავს შეფასების კრიტერიუმებს.

განმცხადებლის მჭიდრო კავშირი სამიზნე რეგიონთან რა ფაქტებით შეიძლება დადგინდეს?

საგრანტო კონკურსის პირობების თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ პროექტის სამიზნე რეგიონში ან დადასტურებული მჭიდრო კავშირი აქვთ მხარესთან, რაც საშუალებას აძლევს ისეთ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აღარ ცხოვრობენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში, თუმცა ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს მხარესთან ან/და მის რომელიმე მუნიციპალიტეტთან, მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში. დასაბუთებაში ნათლად უნდა იკითხებოდეს განმცხადებლის ინტერესი, წვლილი შეიტანოს ადგილობრივი განვითარების პროცესში.

შეუძლია თუ არა კოოპერატივს მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში?

დიახ, კოოპერატივს შეუძლია ბიზნეს გრანტების კონკურსში მონაწილეობა.

შესაძლებელი თუ არა საგრანტო თანხით დაფინანსდეს ალკოჰოლური ნაწარმის წარმოება?

საგრანტო კონკურსის პირობების თანახმად, რაიმე აკრძალვა ალკოჰოლური პროდუქციის წარმოების ბიზნეს საქმიანობაზე არ არის.

შესაძლებელია თუ არა საგრანტო თანხით დაფინანსებული იქნეს მეცხოველეობის საკვების წარმოება და ვერნიკულტურა?

საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ პრირიტეტულ სექტორს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. შესაბამისად, შესაძლებელია მსგავსი ბიზნეს იდეის დაფინანსება.

შესაძლებელია თუ არა საგრანტო თანხით დაფინანსდეს შენობა-ნაგებობის მშენებლობა?

ნებისმიერი მშენებლობა, თუ ის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტის ნაწილია, დასაშვებია საგრანტო კონკურსის პირობებით. თუმცა, გასათვალისწინებელია შენობა-ნაგებობის მოწყობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული ნებართვების საკითხი და პროექტის განხორციელების ვადა, რომელიც შეადგენს მაქსიმუმ 8 თვეს.

უშუალოდ უძრავის ქონების მესაკუთრე წარადგენს განაცხადს თუ ოჯახის წევრსაც შეუძლია?

განაცხადი უნდა წარმოადგინოს ბიზნეს პროექტის განმახორციელებელმა. სავალდებულოა, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებდეს განმცხადებელთან დაკავშირებულ პირობებს, ხოლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოყენებული იქნება ბიზნეს პროექტის განსახორციელებლად, წარმოდგენილი უნდა იყოს საგრანტო კონკურსის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. (იხილეთ საგრანტო კონკურსის განცხადების პუნქტი 2.8).

შეიძლება თუ არა თანამონაწილეობის კომპონენტად ჩაითვალოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი?

საგრანტო კონკურსის პირობების შესაბამისად, საკუთრებაში არსებული მიწა ან/და სხვა რაიმე უძრავ/მოძრავი ნივთი თანამონაწილეობად არ ითვლება. თანამონაწილეობა აუცილებლად ფულადი სახით უნდა იყოს და ამასთანავე, თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ის თანხა, რომელიც საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიხარჯება წარმოდგენილი ბიზნეს პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად.

თითოეულ მუნიციპალიტეტზე რამდენია საგრანტო კვოტა?

საგრანტო კვოტები მუნიციპალიტეტების მიხედვით არ არის განსაზღვრული და კონკურსის შედეგები დამოკიდებულია მხოლოდ კონკურსში მონაწილე განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტების კონკურენტუნარიანობაზე.

განაცხადით წარმოსადგენ დოკუმენტებზე განმცხადებლის ხელმოწერა ელექტრონული უნდა იყოს?

განმცხადებელს შეუძლია ხელი მოაწეროს განაცხადს როგორც ელექტრონულად, ასევე ამობეჭდოს, მოაწეროს ხელი და შემდეგ დაასკანეროს.

შესყიდვების წარმოებისას, ვის მიერ (ბენეფიციარი თუ დონორი) მოხდება თანხის ჩარიცხვა პროდუქტის მომწოდებელთან?

აღნიშნული საკითხი დონორსა და განმცხადებელს შორის შემდგომი მოლაპარაკების საგანია და ამის შესახებ საგრანტო კონკურსის გამარჯვებულთან შეთანხმება მოხდება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.

რამდენად დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი სამშენებლო მასალების ხარჯთაღრიცხვა (ინვოისებით თუ მხოლოდ ჯამური თანხა) და როგორ მოხდება საგრანტო თანხის ჩარიცხვა, ერთიანად თუ რამდენიმე ეტაპად?

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს დეტალური და იკითხებოდეს მასალების მახასიათებლები და ფასი. ამასთან, ის უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, შემფასებლებმა არსებითად იმსჯელონ ბიუჯეტზე და მის შესაბამისობაზე ბიზნეს გეგმასთან.
საგრანტო თანხის ჩარიცხვა მოხდება რამდენიმე ეტაპად, ბიზნეს გეგმით წარმოდგენილი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროექტის შეუფერხებლად იმპლემენტაციას.

თანამონაწილეობა მხოლოდ ფულადი ფორმით არის შესაძლებელი?

დიახ, თანამონაწილეობა აუცილებლად ფულადი სახით უნდა იყოს, რომელიც პროექტის ფარგლებში დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად დაიხარჯება გრანტით მიღებულ თანხასთან ერთად.

საგრანტო თანხიდან შეიძლება თუ არა მუშა-ხელის ხარჯების უზრუნველყოფა?

თუ მუშა-ხელის ხარჯები (ერჯერადად) აუცილებელია ძირითადი საშუალების შესაქმნელად, შესაძლებელია ეს ხარჯი გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტში. თუ მუშა-ხელი მოიაზრება ბიზნესის ფუნქციონირებისთვის (საქმიანობის პერიოდი), ამ შემთხვევაში ის არ უნდა იქნეს ბიუჯეტში გათვალისწინებული.

თუ საწარმო, რომლის მშენებლობასაც ვახორციელებ საკუთარი სახსრებით, ჯდება საგრანტო კონკურსის პრიორიტეტულ ბიზნეს მიმართულებებში, რამდენად შეიძლება დაფინანსებული იქნეს მოცემული საწარმოს მზის პანელებით უზრუნველყოფა?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, შესაძლებელია მზის პანელების მოწყობის დაფინანსება. თუმცა, წარმოდგენილ პროექტში გარკვევით და არგუმენტირებულად უნდა იკითხებოდეს მზის პანელების მოწყობის საჭიროება და მისი დადებითი გავლენა არსებულ ბიზნესის საქმიანობაზე.

პროექტით გათვალისწინებული ბიზნეს იდეის ფარგლებში, შენობა-ნაგებობის მშენებლობა შემიძლია თუ არა განვახორციელო სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულების საფუძველზე?

დიახ, თუმცა წარმოსადგენი იქნება მშენებლობის დეტალური ხარჯთაღრიცხვა, საპროექტო დოკუმენტაცია, ხელშეკრულება, და ა.შ.

ბიზნეს იდეის განხორციელებისთვის კონკურსის პირობებით მოცემული 8 თვე რას გულისხმობს?

8-თვიან ვადაში საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება შესრულებული უნდა იყოს განმახორციელებლის მიერ, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბიზნეს გეგმით გათვალისწინებული ბიზნესის გამართვას, ისე, რომ ბიზნესს ოპერირების დაწყება შეეძლოს, ხოლო სადაც შესაძლებელია - მათ შორის ოპერირების დაწყება.

ბიზნეს იდეის ფარგლებში შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში, არის თუ არა საჭირო პროექტი (შენობის) და ითვალისწინებთ თუ არა მისი მომზადებისთვის საჭირო დროს?

შენობა-ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციის არსებობა სავალდებულოა. ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნებართვები. რაც შეეხება ვადებს, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისთვის განსაზღვრულია 8 თვე, რაც გახანგრძლივებას არ ექვემდებარება.

ვეწევი ტურისტულ ბიზნეს საქმიანობას, ვაწყობ საცხენოსნო ტურებს (საკუთარი ცხენებით), შესაძლებელია თუ არა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინასდეს ცხენებისთვის სადგომების მშენებლობა?

მშენებლობა, რომელიც ბიზნეს საქმიანობის შედეგებს გააუმჯობესებს დასაშვებია საგრანტო კონკურსით, თუ მისი განხოციელება მაქსიმუმ 8 თვეშია შესაძლებელი.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება თუ არა იდეა, რომლის რეალიზებაც დამოკიდებულია მუნიციპალიტეტიდან ან შესაბამისი უწყების მხრიდან ნებართვის გაცემაზე? მაგალითად, რაიმე ისეთი ტურისტული ბიზნესი, რომელიც უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწაზე.

დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ნებართვა წინასწარ არსებობს.

თუ გარკვეული ბიზნეს პროექტი უკვე დაფინანსებულია სხვა დონორის მიერ როგორც დამწყები ბიზნესი, შესაძლებელია თუ არა მოცემულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობა?

მონაწილეობა შესაძლებელია, თუ მიმდინარე საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი შეეხება არსებული ბიზნესის გაფართოვებას. დაუშვებელია საქმის ზუსტად იმ ნაწილისთვის გრანტის მოთხოვნა, რაც უკვე დაფინანსებულია სხვა წყაროდან.

აქვს თუ არა მასწავლებელს საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება?

მასწავლებელს აქვს მონაწილეობის უფლება, თუ პირი იმავდროულად არ ჯდება იმ განმცხადებელთა კატეგორიაში, რომლებსაც არ აქვთ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება. გთხოვთ, იხილეთ საგრანტო კონკურსის განცხადება, სადაც ჩამოთვლილია იმ პირთა კატეგორიები, ვისაც არ აქვთ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება.

სასტუმროს მშენებლობის ბიზნეს იდეის წარმოსადგენად, თუ არის შესაძლებელი გამარკვიოთ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს ის (ოთახების/სველი წერტილების რაოდენობა, ფართობი და ა.შ.) და ასევე, შესაძლებელია თუ არა საგრანტო თანხიდან უშუალოდ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯების უზრუნველყოფა?

მსგავსი რეკომენდაციები ან/და მოთხოვნები წინასწარ არ არის დადგენილი და დამოკიდებულია მთლიანობაში წარმოდგენილ ბიზნეს პროექტზე. რაც შეეხება მშენებლობის პროექტის მომზადების ხარჯს, მისი შეტანა ბიუჯეტში შესაძლებელია, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროექტის განხორციელებისთვის დადგენილია 8 თვიანი ვადა საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების/დაფინანსების თარიღიდან.

რამდენად არის შესაძლებელი რომ ერთდროულად მივიღოთ მონაწილეობა საშუალო და მცირე საგრანტო კონკურსში?

შესაძლებელია, ერთი და იმავე განმცხადებელმა განაცხადი წარმოადგინოს როგორც მსხვილ, ასევე საშუალო ბიზნეს გრანტების კონკურსში. თუმცა, სხვადასხვა ბიზნეს საგრანტო კონკუსებში მონაწილე ერთი და იმავე განმცხადებელმა შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ ერთ-ერთში.

ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს სრულად (ბიზნეს გეგმის შესაბამისად) თუ მხოლოდ მოთხოვნილი საგრანტო თანხის ფარგლებში?

ბიზნეს გეგმის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს სრულად და მოიცავდეს როგორც მოთხოვნილ საგრანტო თანხას, ასევე თანამონაწილეობის კომპონენტს.

შეიძლება თუ არ ველოსიპედების შესყიდვა და მათი სეზონურად გაქირავება ჩაითვალოს ინოვაციურ ბიზნეს პროექტად სამიზნე რეგიონის ფარგლებში?

კონკრეტული ბიზნეს პროექტის შინაარსობრივ ნაწილზე რეკომენდაციები ვერ/არ გაიცემა დონორის მიერ, რაც განპირობებულია საგრანტო კონკურსის პირობებით. წარმოადგენს თუ არა ბიზნეს პროექტი ინოვაციას და რატომ თვლის ამას ინოვაციად განმცხადებელი, ნათლად უნდა იკითხებოდეს წარმოდგენილ ბიზნეს გეგმაში.

შესაძლებელია თუა არა თანამონაწილეობად ჩაითვალოს წარმოდგენილი ბიზნეს პროექტით გათვალისწინებული გარკვეული აქტივობების (სამუშაოების) უზრუნველყოფა უშუალოდ განმცხადებლის მიერ?

არ არის შესაძლებელი; თანამონაწილეობა გულისხმობს მხოლოდ ფულადი სახით თანადაფინანსებას.

საბანკო ვალდებულება წარმოადგენს თუ არა შემაფერხებელ გარემოებას საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის?

საბანკო ვალდებულება არ წარმოადგენს შემაფერხებელ გარემოებას საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის, თუ პირი არ ირიცხება მოვალეთა რეესტრში.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ბიზნეს პროექტისთვის განკუთვნილ უძრავ ქონებაზე არსებული საბანკო ვალდებულება/იპოთეკა თუ შეიძლება იყოს კონკურსში მონაწილეობისთვის ხელშემშლელი ფაქტორი?

უძრავ ქონებაზე არსებული საბანკო ვალდებულება/იპოთეკა არ წარმოადგენს განმცხადებლის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის შემზღუდავ ფაქტორს.

შესაძლებელი თუ არა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდეს გზის მონაკვეთის მოწესრიგება, რომელიც წარმოადგენს მოქმედ ბიზნესთან (ფერმა) მისასვლელ ერთადერთ გზას?

ისეთი ინფრასტრუქტურული კომპონენტების მშენებლობა/მოწყობა/შეკეთება, რომლებიც წარმოადგენს მუნიციპალური ან/და ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულებას, ვერ იქნება დაფინანსებული საგრანტო კონკურსით განსაზღვრული თანხებიდან.

ხდება თუ არა საგანმანათლებლო პროექტების/ინიციატივების დაფინანსება მოცემული კონკურსების ფარგლებში?

ბიზნეს გრანტების კონკურსის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ კომერციული (მოგებაზე ორიენტირებული) ტიპის პროექტები, რომლებიც შინაარსობრივად თავსებადია კონკურსის პრიორიტეტული ბიზნეს მიმართულებებიდან ერთ-ერთთან მაინც.

უძრავი ქონება, რომლის გამოყენებაც დაგეგმილია ბიზნეს პროექტის განსახორციელებლად, აუცილებლად განმცხადებლის სახელზე უნდა იყოს რეგისტრირებული?

განმცხადებელი აუცილებლად უნდა იყოს ის პირი, ვინც ბიზნეს პროექტის განხორციელებას გეგმავს. რაც შეეხება უძრავ ქონებას, სავალდებულო არ არის, რომ ის იყოს განცხადებლის საკუთრება, თუმცა დეტალურად უნდა გაეცნოთ საგრანტო კონკურსის განცხადებაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ პირობებსა და წარმოსადგენ დოკუმენტებს (იხ. 2.8 პუნქტი საშუალო და მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსების განცხადებებში).

შესაძლებელია თუ არა სატრანსპორტო საშუალებების დაფინანსება, მათ შორის ტურიზმის სექტორში?

საგრანტო კონკურსის პირობების მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ სპეციალიზირებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა, თუ მისი საჭიროება დასაბუთებულია ბიზნეს პროექტით.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება თუ არა ხის ნაკეთობების საწარმოს გაფართოების ბიზნეს პროექტი (შენობის გაფართოვება, დანადგარების შეძენა და სხვა)?

კონკრეტული ბიზნეს პროექტის შინაარსობრივ ნაწილზე რეკომენდაციები ვერ/არ გაიცემა დონორის მიერ, რაც განპირობებულია საგრანტო კონკურსის პირობებით. თუ თქვენი ბიზნეს პროექტი ესადაგება კონკურსის პირობებით განსაზღვრულ პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთს მაინც, შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება.

საგრანტო კონკურსის პირობებით მოთხოვნილ საშუალო წლიურ ბრუნვაში რა მოიაზრება? მოქმედი მზარდი ბიზნესის შემთხვევაში ჩადებული კაპიტალი შეიძლება ბრუნვაში იქნეს გათვალისწინებული?

ბრუნვაში მოიაზრება შემოსავალი, რომელიც ბიზნესმა მიიღო პროდუქციის/მომსახურების გაყიდვიდან. შესაბამისად, ჩადებული კაპიტალი არ წარმოადგენს ბრუნვის ნაწილს.

შესაძლებელია თუ არა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული იქნეს მოქმედი ტურისტული/გამაჯანსაღებელი (საცურაო აუზი) ბიზნესის გაფართოვების პროექტი, რომელიც გულისხმობს ქვიშის ფრენბურთის მოედნის მოწყობას და რამდენად წარმოადგენს ის ძირითად საშუალებას?

თუ თქვენი ბიზნეს პროექტი ესადაგება კონკურსის პირობებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთს მაინც, შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება.

ნებისმიერი აქტივი, რომელიც ერთ წელზე მეტი ვადით გამოიყენება ბიზნესის ფუნქციონირებისთვის წარმოადგენს ძირითად საშუალებას.

რამდენი განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვს ერთ პირს?

ერთ საგრანტო კონკურსში, ერთ განმცხადებელს, მათ შორის ერთ შინამეურნეობას (ერთ ოჯახს) მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვს.

მოქმედი ბიზნესის (გამაჯანსაღებელი ცენტრი) გაფართოვების მიზნით არის თუ არა შესაძლებელი საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება, სპორტული ინვენტარისა და სამედიცინო აპარატურის შეძენის მიზნით?

თუ თქვენი ბიზნეს იდეა/პროექტი ესადაგება კონკურსის პირობებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთს მაინც, შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება.

როდის გამოვლინდებიან საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები?

საგრანტო კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულების გამოვლენა მოსალოდნელია 2025 წლის მარტის მეორე ნახევარში.

თუ პირს აქვს მოქმედი ტურისტული ბიზნესი (კოტეჯი), კვების ობიექტის მოწყობის ბიზნეს იდეაზე განაცხადი არსებული ბიზნესის გაფართოვების განაცხადით უნდა იქნეს წარმოდგენილი თუ დამწყები ბიზნესის განაცხადის ფორმით?

განმცხადებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა ფორმით სურს განაცხადის წარმოდგენა. ბიზნეს პროექტი უნდა ესადაგებოდეს საგრანტო კონკურსის პირობებით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთს მაინც.

თუკი ვერ გაიმარჯვებს პროექტი, რამდენად შესაძლებელია იმ კრიტერიუმების გაგება, რომელიც ვერ დავაკმაყოფილეთ?

ყველა განმცხადებელი, შედეგის მიუხედავად, მიიღებს დასაბუთებულ პასუხს მიღებულ ქულებთან ერთად.

დასაშვებია თუ არა ერთი ოჯახის ორმა წევრმა (ძმები) საგრანტო კონკურსში მონაწილეობა მიიღონ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ბიზნეს ინიციატივით, თუმცა ბიზნეს პროექტის განსახორციელებლად გამოყენებული იქნეს ერთი და იგივე უძრავი ქონება (მიწა)?

ერთ საგრანტო კონკურსში, ერთ განმცხადებელს, მათ შორის, ერთ შინამეურნეობას (ერთ ოჯახს) მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენის უფლება აქვს.

მოცემული პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ბიზნეს საგრანტო კონკურსებში მონაწილე ერთი და იგივე განმცხადებელმა, მათ შორის (შინამეურნეობამ) შეიძლება გაიმარჯვოს მხოლოდ ერთ-ერთში.

სავალდებულო არ არის რომ ბიზნეს პროექტის განსახორციელებლად საჭირო უძრავი ქონება იყოს განცხადებლის საკუთრება, თუმცა დეტლურად უნდა გაეცნოთ საგრანტო კონკურსის განცხადებაში უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ პირობებსა და წარმოსადგენ დოკუმენტებს (იხ. 2.8 პუნქტი საშუალო და მსხვილი ბიზნეს გრანტების კონკურსების განცხადებებში).

მოქმედი საკალმახე მეურნეობის გაფართოვების ბიზნეს პროექტის ფარგლებში, რამდენად არის შესაძლებელი საგრანტო თანხიდან იქნეს დაფინანსებული მეურნეობისთვის დამატებით აუზების მოწყობისთვის მასალების/მომსახურების შეძენა (მდინარის ბუნებრივი ქვა, ტექნიკის და მუშახელის მომსახურება)?

წარმოდგენილი ბიზნეს პროექტის შესაბამისად, საგრანტო თანხიდან შესაძლებელია ერჯერადად დაფინანსებული იქნეს სარემონტო/სამშენებლო როგორც მასალები ასევე მომსახურება, თუ ისინი ემსახურება ძირითადი საშუალების შეძენა/შექმნას.

ლორის წარმოება და სადეგუსტაციო სივრცის მოწყობა რომელ ბიზნეს სექტორს მიეკუთვნება? სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებას თუ ტურისტულ სექტორს? ასეთ შემთხვევაში ერთ ბიზნეს პროექტად უნდა მოხდეს განაცხადის შემოტანა თუ ორი განაცხადად? ასევე, რამდენად შეიძლება მოცემული ბიზნეს საქმიანობისთვის საგრანტო თანხიდან უზრუნველყოფილი იქნეს კოსულტანტის მომსახურება?

საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადი უნდა ჯდებოდეს საგრანტო კონკურსის პირობებით გათვალისწინებული პრიორიტეტული მიმართულებებიდან ერთ-ერთში მაინც. თუმცა, შესაძლებელია განაცხადი რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაში ერთდროულად ჯდებოდეს და ასეთ შემთხვევაში, ყველა შესაბამისი მიმართულება უნდა იყოს მონიშნული. რაც შეეხება განაცხადის ცალ-ცალკე თუ ერთ პროექტად შემოტანის საკითხს, ერთ განმცხადებელს (მათ შორის, ერთ შინამეურნეობას) ერთ კონკურსში შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარმოდგენა და ამიტომ, განაცხადი ერთ პროექტად უნდა იყოს წარმოდგენილი.

რაც შეეხება კონსულტანტის მომსახურებას, თუ ის გაწვდით ძირითადი საშუალების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ცოდნა-გამოცდილებას და მისი მომსახურების ღირებულება ბმაშია ძირითადი საშუალების შექმნასთან, მსგავს შემთხვევაში დასაშვებია მისი გათვალისწინება ბიუჯეტში. სხვა შემთხვევაში კონსულტანტის ხარჯი იქნება დაუშვებელი.